

კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, როგორც აბორტის უფლების
შეზღუდვა

მანანა გელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ მიქელაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მანანა გელაშვილი

02.07.2022 წელი

აბსტრაქტი

ყოველწლიურად მინიმუმ 70 000 ქალი იღუპება სახიფათო აბორტებთან დაკავშირებული გართულებების გამო. კვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს ძლიერი კავშირი აბორტის კანონიერებასა და აბორტის უსაფრთხოებას შორის, შესაბამისად, ქალები, რომლებიც ცხოვრობენ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს აბორტის შემზღუდავი კანონები, ხშირად მიმართავენ სახიფათო, ფარულ აბორტებს, რაც საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. სახიფათო აბორტების გავრცელებას ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა აბორტზე - კლინიკის უარი შეასრულოს აბორტი მორალური ან რელიგიური შეხედულებების გამო - შეზღუდული უფლებაა და მიზნად ისახავს სამედიცინო პერსონალის რწმენის დაცვას აბორტის ხელმისაწვდომობის შენარჩუნებისას.

აღნიშნული კვლევის მიზანი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის, როგორც აბორტის უფლების შეზღუდვის სამართლებრივი ანალიზია. თუ განვიხილავთ კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას აბორტთან დაკავშირებით, როგორ დავრწმუნდეთ, რომ ჯანდაცვის პერსონალი არ გახდება იძულებული არასწორ ქმედებაში იყოს თანამონაწილე? როგორ დავრწმუნდეთ, რომ არ შეიზღუდება პაციენტების უფლება ჰქონდეს წვდომა საუკეთესო მკურნალობაზე? აღნიშნულ კითხვებს პასუხი გაეცემა წინამდებარე კვლევის ფარგლებში.

ნაშრომის მთავარი საძიებო სიტყვები: კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, აბორტი, უსაფრთხო აბორტი.

Abstract

At least 70,000 women die each year from complications related to unsafe abortions. Studies have shown that there is a strong link between abortion legality and abortion safety, so women living in countries with restrictive abortion laws often resort to unsafe, clandestine abortions, putting their lives and health at risk. The spread of unsafe abortions is often facilitated by conscientious objection. Conscientious objection to abortion - the refusal of a clinic to perform an abortion due to moral or religious beliefs - is a limited right and aims to protect the beliefs of medical personnel while maintaining access to abortion.

The purpose of this study is the legal analysis of conscientious objection as a limitation of the right to abortion. If we consider conscientious objection to abortion, how can we ensure that health care workers are not forced to be complicit in wrongdoing? How can we ensure that patients' rights to access the best care are not restricted? These questions will be answered within the scope of this study.

Keywords: conscientious objection, abortion, safe abortion.